თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 13 დეკემბრის სხდომის ოქმი #16

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 21, სტუდენტები – 7, სულ –28 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის გასაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი #1)

/ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

4. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 13 დეკემბრის #16 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

1. **თსუ კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაკალავრიატის ფინანსების სპეციალობის 2001 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. დავით ჯინჯოლია) დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.**

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაკალავიატის 2001 წლის კურსდამთავრებულ დავით ჯინჯოლიამ დიპლომების დაკარგვის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დავით ჯინჯოლიას სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული საქმისწარმოება და გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დაადგინა, რომ **დავით რეზოს ძე ჯინჯოლია** 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დასწრებული

სწავლების შრომის ორგანიზაციისა და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობაში სპეციალობაზე (ბრძანება №4/650, 06.08.1997).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვის“ სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №7) სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე დღის სწავლების შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით ჯინჯოლიას მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომითი რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2001 წლის 27 ივლისის №4/731 ბრძანებით მიენიჭა შრომითი რესურსების მენეჯერის კვალიფიკაცია და ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2001 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი (B №06351, სარეგისტრაციო №01/199) რეგისტრირებულია დავით ჯინჯოლიას სახელზე.

ვინაიდან, დავით ჯინჯოლიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ იყო შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№7, 18.06.2001) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/731, 27.07.2001) მინიჭებულ ხარისხთან, ამიტომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016 წლის 4 ოქტომბრის საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგში დადგა საკითხი **„თსუ ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ“.** საბჭომ დაადგინა, რომ **«ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ორგანიზაციისა და შრომითი რესურსების მართვის სპეციალობის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულ დავით ჯინჯოლიას მინიჭებული ხარისხის „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომითი რესურსების მართვის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომითი რესურსების მართვის კვალიფიკაციით“»** *(იხ. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №13, 04.10.2016).*

თსუ არქივის მიერ მოწოდებული სარქივო ცნობიდან ირკვევა, რომ 1999 წლის საუნივერსიტეტო ბრძანებებში კავკასიის ბიზნესის სკოლაში პარალელურ სწავლებაზე დავით ჯინჯოლიას ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება. სამწუხაროდ, არც კავკასიის ბიზნესის სკოლის არქივში არ იძებნება ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლაში მისი ჩარიცხვის შესახებ. 2001 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულ დავით ჯინჯოლიას მიენიჭა ბიზნესის ადმინსიტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სპეციალობით - ფინანსები (ბრძანება №4/672, 20.07.2001). კავკასიის ბიზნეს სკოლის 2001-2010 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში CSB-B №000009 რეგისტრირებულია დავით რეზოს ძე

ჯინჯოლიას სახელზე. კავკასიის ბიზნესის სკოლის 2001 წლის კვალიფიკაციის მინიჭების სხდომის ოქმები თსუ არქივში არ იძებნება.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ქალბატონ რუსუდან სანადირაძისადმი მიწერილ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბატონ კახა შენგელიას წერილიდან (№281-CU-02, 23.09.2016) ირკვევა, რომ „1999 წლიდან 2002 წლის ჩათვლით ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე პარალელურ რეჟიმში სწავლების უფლება ეძლეოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს. პროგრამის განხორციელებას ადმინისტრირებას უწევდა ამ უნივერსიტეტების კორსორციუმის შედეგად დაფუძნებული კავკასიის ბიზნესის სკოლა. აღნიშნული სტუდენტები საბაკალავრო პროგრამაში ერთვოდნენ სწავლების იმ ეტაპიდან, რომელზედაც ირიცხებოდნენ და სწავლას აგრძელებდნენ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით. ამასთან, მშობლიურ სასწავლებელში გავლილი სასწავლო კურსების აღიარება ხდებოდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან შესაბამისობის შედეგად. დავით ჯინჯოლიამ, რომელიც ირიცხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე, 1999 წელს, პარალელურ რეჟიმში სწავლა გააგრძელა კავკასიის ბიზნესის სკოლაში, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ფინანსების სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 2001 წელს და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კორსორციუმის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმის თანახმად.“ ამასთან, წერილში ბატონი კახაბერ შენგელია აღნიშნავს, რომ კავკასიის უნივერსიტეტის არქივში არ იძებნება ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლაში მისი ჩარიცხვის შესახებ.

კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ დავით ჯინჯოლიას სახელზე წარმოებული სტუდენტის სასწავლო ბარათიდან ირკვევა, რომ მან კავკასიის ბიზნესის სკოლაში ისწავლა 8 სემესტრის მანძილზე და ამ ხნის განმავლობაში აითვისა 204 კრედიტი. სასწავლო ბარათზე არ არის დაფიქსირებული მისი ჩარიცხის ბრძანება.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ მოძიებული იქნა თსუ-ს მიერ 2003 წელს გამოცემული ნორმატიული დოკუმენტების კრებული, საიდანაც ვგებულობთ, რომ „ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად ერთი (ძირითადი) სპეციალობით სტუდენტმა უნდა შეასრულოს 205-215 კრედიტი (სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით)“. კურსდამთავრებულ დ. ჯინჯოლიას ათვისებული აქვს 204 კრედიტი, რაც იმ პერიოდის რეგულაციებით არ უნდა ყოფილიყო საკმარისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად. სავარაუდოდ. დ. ჯინოლიას სასწავლო კურსი შესაძლებელია დამთავრებული ქონდა ახალი რეგულაციის ძალაში შესვლამდე.

აღნიშნული საკითხი განიხილა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვული სავალდებულო მონაცემების დადგენა/ადგენის

მუდმივმოქმედი კომისიამ (ოქმი №11, 15.11.2016) და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „თსუ კავკასიის ბიზნესის სკოლის ფინანსების სპეციალობის 2001 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ დავით ჯინჯოლიას შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, დიპლომისა და შესაბამისად, მისი დანართის მომზადება ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. გამომდინარე აქედან, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისია ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას და შესაბამისად, ფაკულტეტი ვერ მოახდენს დ. ჯინჯოლიასთვის დიპლომის დანართის მომზადებას.“

აღიშნულის შესახებ წერილობით ეცნობა თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს. დეპარტამენტმა წერილთან (№42992/02, 29.11.2016) ერთად ფაკულტეტს დამატებით წარმოუდგინა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტების განცხადებები, სადაც ისინი ითხოვდნენ კავკასიის ბიზნესის სკოლაში სწავლის გაგრძელების უფლებას.

ფაკულტეტის მიერ შესწავლილი იქნა განმეორებით წარმოდგენილი საარქივო მასალა. თსუ არქივის განმარტებით კავკასიის ბიზნესის სკოლის 2001 წლის ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულთა (გიორგი გაგნიძე და ლაშა პაიჭაძე) პირად საქმეებში კავკასიის ბიზნესის სკოლაში ჩარიცხვის ბრძანება არ ფიქსირდება. საარქივო დოკუმენტებთან ერთად კი წარმოდგენილი იყო გიორგი გაგნიძის, ლაშა პაიჭაძის და დავით ჯინჯოლიას განცხადებები, რომლითაც ითხოვენ კავკასიის ბიზნესის სკოლაში სწავლის გაგრძელების უფლებას. თსუ იურიდიულ და სასწავლო დეპარტამენტის შესაბამის სამსახურებთან ზეპირი კონსულტაციით დადგინდა, რომ პარალელური სწავლების მსურველები განცხადებით, ყოველგვარი ბრძანების გარეშე აგრძელებდნენ სწავლას კავკასიის ბიზნეს სკოლაში.

საარქივო მასალის, კერძოდ, მათი განცხადებების განხილვით ვგებულობთ, რომ სამივე „კურსდამთავრებული“ სწავლის გაგრძელებას ითხოვდა „მენეჯმენტის“ სპეციალობაზე. თსუ რექტორის 2001 წლის 20 ივლისის №4/672 ბრძანებაში კი მითითებულია, რომ „კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულებს (მ.შ. გიორგი გაგნიძე, ლაშა პაიჭაძე და დავით ჯინჯოლია) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ ფინანსების სპეციალობით.

როგორც, წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ისინი 1999 წელს ჩაირიცხნენ კავკასიის ბიზნესის სკოლაში, სავარაუდოდ III კურსზე. განცხადებებიდან ჩანს, რომ მათ განაცხადი გააკეთეს „მენეჯმენტის“ სპეციალობაზე, მაგრამ დაამთავრეს ფინანსების სპეციალობა. სამწუხაროდ, სპეციალობის შეცვლის მიზეზი და შესაბამისი განაცხადებები მის შეცვლასთან დაკავშირებით არ იძებნება.

დავით ჯინჯოლიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში აღნიშნულია, რომ მას ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით. თსუ არქივის განმარტებით აღნიშნული გადაწყვეტილება თსუ არქივში გადმოცემული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებების გამოცემის თარიღები, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატაება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 2001 წლის თსუ კავკასიის ბიზნესის სკოლის ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით ჯინჯოლიას კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღად განისაზღვროს ***2001 წლის 20 ივლისი*** და ოქმის ნომრად ***№672/3.***
2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ რექტორის 2001 წლის 20 ივლისის №672 ბრძანებაში მითითებულ კავკასიის ბიზესის სკოლის ფინანსების სპეციალობის 2001 წლის კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორცილედეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ნია ჭუნაშვილი) დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.**

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულ ნია ჭუნაშვილმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნია ჭუნაშვილის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული საქმისწარმოება და გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ **ნია ჭუნაშვილი** მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე 2004 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო სწავლების საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/929, 02.08.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 240 კრედიტი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 10 ივლისის №1186/01-04 ბრძანებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი (ბრძანება №1186/01-04, 10.07.2009 - საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №12420/02, 30.06.2009). თსუ 2008-2009 წლების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №000773 (სარეგისტრაციო №01/400341) რეგისტრირებულია ნია ჭუნაშვილის სახელზე.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა, რომ 2008 და 2009 წლებში აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო

კომისიის მიერ. შესაბამისი ოქმის საფუძველზე მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება და შემდეგ გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის 2009 წლის 10 ივლისის №1186/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№12420/02, 30.06.2009). აღნიშნული ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭათ *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №1186/01-04, 10.07.2009):*

1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
   - საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობის 45 კურსდამთავრებულს - საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაციით;
   - სასურსათო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 17 კურსდამთავრებულს - მენეჯერის კვალიფიკაციით;
   - ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს - ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით;
   - სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 1 კურსდამთრებულს - მენეჯერის კვალიფიკაციით;
   - სამრეწველო პროცუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს - მენეჯერის კვალიფიკაციით
2. ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის ურთიერთობების სპეციალობის 48 კურსდამთვრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით.

ფაკულტეტზე არსებული წარდგინების ელექტრონული ვერსიებიდან ირკვევა, რომ 2008 წელს, ფაკულტეტზე მოწვეული იყო ორი საატესტაციო კომისია. 2008 წლის 14 აპრილს და 2008 წლის 30 ივნისს. ამჟამად, არ იძებნება 2008 წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული ოქმები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებების გამოცემის თარიღები, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატაება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტყეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 10 ივნისის №1186/01-04 ბრძანებით 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ნია ჭუნაშვილი) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2009 წლის 10 ივლისი*** და ოქმის ნომრად ***№1186/3***.
2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის №1186/01-04, 10.07.2009 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში (*იხ. „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის ბრძანება №1186/01-04, 10.07.2009)*

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ე. კვირიკაშვილის სამსახურეობრივი ბარათი (№8796/29, 12.12.2016), რომელიც ითხოვს **ნია ჭუნაშვილისთვის** მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სააქრივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ნია ჭუნაშვილი** მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე 2004 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო სწავლების საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/929, 02.08.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 240 კრედიტი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 10 ივლისის №1186/01-04 ბრძანებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი (ბრძანება №1186/01-04, 10.07.2009 - საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №12420/02, 30.06.2009). თსუ 2008-2009 წლების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №000773 (სარეგისტრაციო №01/400341) რეგისტრირებულია ნია ჭუნაშვილის სახელზე.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა, რომ 2008 და 2009 წლებში აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ. შესაბამისი ოქმის საფუძველზე მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება და შემდეგ გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის 2009 წლის 10 ივლისის №1186/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№12420/02, 30.06.2009). აღნიშნული ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭათ *(ob. თსუ რექტორის ბრძანება №1186/01-04, 10.07.2009):*

3. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
   - საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობის 45 კურსდამთავრებულს - საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაციით,
   - სასურსათო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 17 კურსდამთავრებულს - მენეჯერის კვალიფიკაციით,
   - ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს - ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით,
   - სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 1 კურსდამთრებულს - მენეჯერის კვალიფიკაციით,
   - სამრეწველო პროცუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს - მენეჯერის კვალიფიკაციით,
4. ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის ურთიერთობების სპეციალობის 48 კურსდამთვრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს სთხოვა განიხილონ საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 10 ივლისის №1186/01-04 ბრძანებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ ნია ჭუნაშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**, ხოლო სწავლების დარგის მითითება მოხდეს კვალიფიკაციის მინიჭების პერიოდში მოქმედი წესის მიხედვით.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 10 ივლისის №1186/01-04 ბრძანებაში მითითებულ საერთაშორისო ბიზნესის მართვის (45 კურსდამთავრებული); სასურსათო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის (17 კურსდამთავრებული); ეკონომიკური ინფორმატიკის (1 კურსდამთავრებული); სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში (1 კურსდამთავრებული) და სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში (1 კურსდამთავრებული) სპეციალობების ყველა კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №1186/01-04, 10.07.2009)*.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი #1)

/ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტის ძირითადი მუხლები. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ზოგიერთი მუხლი შეკვეცილია, ასევე მოხდა ზოგიერთი მუხლის ზრდა, რაც ძირითადად გამოწვეულია პროფესორთა ხელფასის მომატების გამო. მთლიანობაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარჯვითი ნაწილი წარმოადგენს 6 157 007 ლარს. შემცირება შეეხო შემდეგ მუხლებს: სამივლინებო ხარჯების ნაწილს - 20 000 ლარის ოდენობით; წარმომადგენლობით ხარჯებს; ასევე შემცირებულია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - აკადემიური პერსონალის საათობრივი ანაზღაურება და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება. თსუ საფინანსო განყოფილებასთან იყო მოლაპარაკება ეკონომიკის საერთაშორისო

სკოლის ხარჯვითი ნაწილის შესახებ. მას შემდეგ, რაც ფაკულტეტის საბჭოს წევრებს დაეგზავნათ ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტის დოკუმენტი, შემდეგ მიღებულ იქნა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტის ხარვითი ნაწილი. ა. მიქაბერიძემ მოკლედ განიხილა მისი ძირითადი მუხლები: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანაზღაურება, რაც შეადგენს 339 889 ლარს. მან აღნიშნა, რომ მათ ხელფასი ეძლევათ აშშ-ის დოლარის ეკვივალენტურად.

ა. მიქაბერიძემ საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: 1. დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გარეშე; 2. დამტკიცდეს ინტეგრირებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, ანუ 339 889 ლარი დაემატოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარჯვითი ნაწილის მუხლს. ინტეგრირებული ბიუჯეტის მიხედვით ეს მუხლი შეადგენს 6 496 896 ლარს, რაც, სხვადასხვა გათვლებით, საშუალოდ ფაკულტეტის სავარაუდო შემოსავლების 45%-ს შეადგენს. თსუ საფინანსო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემოსავალი არის 13 000 000 ლარამდე (ფაკულტეტის სტუდენტების სწავლის გადასახადს დამატებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სამაგისტრო პროგრამიდან მიღებული თანხა). ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შემოსავალი სტუდენტების მიერ გადახდილი თანხის მიხედვით ფარავს მხოლოდ იმ ხარჯებს, რაც გაიწევა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის ანაზღაურებას, ეს არ ხდება უნივერსიტეტიდან, არამედ სხვადასხვა ფონდებისა და საგრანტო პროექტების ფარგლებში მოწვეული პედაგოგები გრანტით იღებენ ხელფასს. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ხელმძღვანელობასთან ამ საკითხთან დაკავშირებით იყო საუბარი და საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება. როდესაც ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ამ ინფორმაციას, ეს საკითხი უნდა იქნას განხილული მორიგ საბჭოს სხდომაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ.ბერიძემ, პროფ. ნ. ხადურმა, პროფ. ს. გელაშვილმა, პროფ. ა. სილაგაძემ, პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ლ. საბაურმა, ასოც. პროფ. ჩ. ჯაშმა, ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა.

დეკანი, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძე - მან აღნიშნა, რომ წინა საბჭოს სხდომებზე რამდენჯერმე მოხდა ამ საკითხის განხილვა. ფინანსები და ბიუჯეტი არის ამოსავალი წერტილი და შესაბამისად ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტი უნდა აისახოს ფაკულტეტის ბიუჯეტში. მან აღნიშნა, რომ ეკონომიკის

საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტის კონტროლი უნდა განხორციელდეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ასოც. პროფ. ლ. საბაური - მან აღნიშნა, რომ შტატგარეშე თანამშრომლებთან დაკავშირებით შემცირებულია საათობრივი ანაზღაურება და დასვა შეკითხა მისი გამომწვევი მიზეზების თაობაზე. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან დაკავშირებით ასოც. პროფ. ლ. საბაურიმა აღნიშნა, რომ ის ეთანხმება ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის და ფაკულტეტის ამგვარ თანამშრომლობას, მაგრამ საინტერესოა როგორია ანაზღაურება. ლექტორების ანაზღაურება შესაძლებელია განსხვავებული იყოს, მაგრამ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობა არ არის განსხვავებული ფაკულტეტის ადმინისტრაციის საქმიანობისგან, შესაბამისად მათი ხელფასებიც არ უნდა იყოს განსხვავებული. ვინაიდან ამის შესახებ ინფორმაცია არ არის, ჩნდება იმის განცდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს არასრული ინფორმაცია და მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი ეს განცდა დიდია. მაგალითად, დამლაგებელს აქვს 220$, რაც საკმაოდ მაღალია, ვიდრე ფაკულტეტის დამლაგებლის შრომის ანაზღაურება.

მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე - მან პასუხი გასცა ასოც. პროფ. ლ. საბაურის შეკითხვას, კერძოდ მან წარადგინა დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას. ყველაზე დიდი ანაზღაურება არის 2062$ - სტუდენტთა საქმის მართვის დეპარტამენტის უფროსი.

ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილი - მან აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში მთავრობა ბევრს საუბრობს ჰეჯირებაზე. დოლარის მიხედვით ხელფასების გაწერა და დამტკიცება არ არის მისაღები.

პროფ. ე. მექვაბიშვილი - მან დასვა შეკითხვა: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ხარჯებმა რომ გადააჭარბოს შემოსავლებს, საიდან მოხდება მისი დაფარვა?

მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე - მან დასმულ შეკითხვას შემდეგი პასუხი გასცა: ხარჯების დაფარვა მოხდება ბიუჯეტის ფარგლებში (339 889 ლარი).

პროფ. ს. გელაშვილი - მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტი ვერ აკონტროლებს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შემოსავლებს და ხარჯებს, ამიტომ ის ვერც სტრუქტურულად და ვერც ადმინისტრაციულად ვერ შემოვა ფაკულტეტის შემადგენლობაში. მან აღნიშნა, რომ ის მხარს არ უჭერს ფაკულტეტის ბიუჯეტში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტის ინტეგრირებას და საჭიროა მისი ბიუჯეტის ცაკლე დამტკიცება და არა ფაკულტეტის ბიუჯეტის ფარგლებში.

პროფ. ა. სილაგაძე - მან აღნიშნა, რომ პირველი ნაბიჯისთვის ამგვარი ინტეგრირება სასურველია, მაგრამ არასკმარისი. მან გამოთქვა სურვილი, რომ უნივერსიტეტის საფინანსო განყოფილება ფლობდეს ინფორმაციას ყველა იმ თანხის შესახებ, რომელიც ანგარიშზე აისახება. მან სთხოვა პროფ. ს. გელაშვილს, რომ მხარი არ დაუჭიროს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტის ცალკე დამტკიცებას, რადგან ეს შეუშლის ხელს ინტეგრაციის პირველ ნაბიჯებს, რომელიც ახლა მიმდინარეობს. მან ფაკულტეტის დეკანს, საბჭოს თავმჯდომარეს თ. ბერიძეს მოუწოდა, რომ აღძრას შუამდგომლობა და პროფ. ნ. ხადურს, როგორც ცნობილ ფინანსისტს, დაავალოს ამ საკითხებზე აქტიური მუშაობა. მან აღნიშნა, რომ სასწრაფოდ საჭიროა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანა - ვერც დეკანი და ვერც უნივერსიტეტის რექტორი ვერ ნიშნავს ქვესტრუქტურის ხელმძღვანელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ხარვეზი სასწრაფოდ გამოსასწორებელია და ამის თაობაზე მის მიერ დაისვა წინადადება წინა სხდომაზეც.

დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. თ.ბერიძე - იგი დაეთანხმა პროფ. ა. სილაგაძის მიერ დასმულ საკითხს დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და აღნიშნა, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლიც განახორციელებს ამ სამუშაოს.

პროფ. ნ. ხადური - მან აღნიშნა, რომ ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებებს ერთის გარდა: ბიუჯეტზე სამუშაოდ შესაძლებელია გამოყენებული იქნას მისი გამოცდილება, მაგრამ გრანტები, რომელიც არის აისეტის დაფინანსების წყარო, არასწორია, მაგრამ ეს რეალობაა. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ უნდა წარმოადგინოს სრული ანგარიში, ფაკულტეტზე უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ამ ინფორმაციას და საბჭოს წარუდგენს სრულყოფილ ინფორმაციას ბიუჯეტის შესახებ.

ასოც. პროფ. ჩ. ჯაში - მან აღნიშნა, რომ აქვს ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ავტორიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების თაობაზე, კერძოდ, აპელირება ხდება სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციაზე. მან დასვა შეკითხვა: ფაკულტეტის მუშაობა ამ კუთხით მხოლოდ აისეტთან ინტეგრირებით შემოიფარგლება, თუ არსებობს ინტერნაციონალიზაციის პროცესის განხორციელების სხვა პერსპექტივები?

დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. თ.ბერიძე - მან უპასუხა შეკითხვას და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბრემენის უნივერსიტეტითან ორმაგი საბაკალავრო პროგრამის განხორციელების შესახებ. არის ბევრი შემოთავაზებები, მაგრამ საჭიროა ეფექტური გადაწყვეტილების მიღება. იქედან გამომდინარე, რომ გერმანია არის წამყვანი ქვეყანა განათლების საკითხებში, გერმანიის უნივერსიტეტებზე პრიორიტეტის მინიჭება სწორი გადაწყვეტილებაა.

პროფ. ქ. მარშავა - მან აღნიშნა, რომ ყველა ქმედებას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე. ამ ეტაპზე აისეტთან ინტეგრირების გადაწყვეტილება მისაღებია და მომავალში ალბათ ის უფრო დაიხვეწება. მან აღნიშნა, რომ მხარს უჭერს წარმოდგენილი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს და აქვს თხოვნა: წინა წელს სენატის სხდომაზე ბიუჯეტის განხილვის დროს დაფიქსირდა, რომ მაღლივ კორპუსში მოხდებოდა გათბობის სისტემის განახლება. ეს არ მოხდა, მაგრამ განახლდა მაღლივი კორპუსის ფანჯრების ნაწილი. მან დააყენა წინადადება - ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს თან დავურთოთ განმარტებითი ბარათი, სადაც დაფიქსირდება, რომ მოხდეს მაღლივი კორპუსის გათბობის სისტემის განახლება და მისი გათვალისწინება ახალ ბიუჯეტში.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:	მომხრე – 28
	წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი სახით (დანართი #1).

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე	თ. ბერიძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სწავლული მდივანი	მ. ნაცვალაძე